



ინფორმაცია თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის პირის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების პირობები და მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური ჩაკლაბის განხილვა კვლითი ფორმის სუბიექტებისთვის:

- ▶ კვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ყოველ საათში 5 წთ ოდენობით ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის ერთად, ამასთან ერთად, ყოველ 3 საათში თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ უნდა აღემატებოდეს.

2) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური ჩაკლაბის განხილვა არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის:

- ▶ არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ერთი არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის 15 წმ. ოდენობით 9:00-10:00, 14:00-15:00 და 19:00-20:00 საათამდე პერიოდში (დღეში ჯამურად 45წმ. ოდენობით).

3) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური ჩაკლაბი

- ▶ წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფის შესახებ ინფორმაცია ყოველკვირეულად განთავსდება მაუწყებლის ვებ გვერდზე www.gpb.ge

4) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური ჩაკლაბის ეთერი განხილვის პირობები:

- ▶ საქართველოს ორგანული კანონის ``საქართველოს საარჩევნო კოდექსის`` 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა ``ფასიანი პოლიტიკური რეკლამა`` ან ``უფასო პოლიტიკური რეკლამა``. რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფა რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. სურდოთარგმანის არარსებობის შემთხვევაში მაუწყებელი იტოვებს უფლებას არ გაუშვას სუბიექტის მიერ მოწოდებული საარჩევნო რგოლი.
- ▶ საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს გენერალური დირექტორის, ვასილ მაღლაფერიძის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ.68.
- ▶ სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის(განაცხადის) რიგითობის მიხედვით და ყოველ მომდევნო დღეს განთავსდება როტაციის პრინციპით.

- ▶ სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე sales@gpb.ge უნდა გამოაგზავნოს განთავსების მედია გეგმა და შეათანხმოს სარეკლამო სამსახურთან. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს. რგოლის ჩანაცვლების ან მედია განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტმა წერილობით უნდა გვაცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე sales@gpb.ge, ხოლო სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან მეორე სამუშაო დღეს
- ▶ არაკვალიფიციური სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი უნდა იყოს 15 წმ. სხვა ქრონომეტრაჟის შემთხვევაში სუბიექტის მიერ გამოუყენებელი საეთრო დრო არ ანაზღაურდება შეკრებილობის პრინციპით.

5) წინასწარწევნო უოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

ვიდეორგოლი:

- ▶ სარეკლამო რგოლზე უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან რეგიონის ნომერი, შრიფტის ზომით მინიმუმ 24 PX
- ▶ სარეკლამო რგოლი უნდა იყოს:

SD-სტანდარტული გარჩევადობის რეზოლუციით DV.avi ფორმატში 25 მბ/წმ (mbps) ფაილის სახით DVD დისკზე,
აუდიო- 48 kHz mono- 2 ბილიკზე

აუდიორგოლი:

აუდიო ფაილი უნდა იყოს: wav ან MP3 ფორმატში 48 kHz Stereo ან Mono